როდესაც რომელიმე თქვენგანი იძინებს, ეშმაკი თქვენგანის ერთ ერთის თავის კეფაში სამ კვანძს ადებს. ყოველ კვანძზე დაარტყამს და ამბობს: "ღამე გრძელი გაქვს, იძინე მშვიდად

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც რომელიმე თქვენგანი იძინებს, ეშმაკი თქვენგანის ერთ ერთის თავის კეფაში სამ კვანძს ადებს. ყოველ კვანძზე დაარტყამს და ამბობს: "ღამე გრძელი გაქვს, იძინე მშვიდად". მაგრამ თუ ადამიანი გაიღვიძებს და ალლაჰს გაიხსენებს, ერთი კვანძი იხსნება; თუ განბანვას განახორციელებს, მეორე კვანძიც იხსნება; და თუ ლოცვას შეასრულებს, მესამე კვანძიც იხსნება. ამგვარად, ის დილას ხალისიანი და კარგი განწყობით იწყებს, ხოლო თუ ასე არ მოიქცევა, ცუდ ხასიათზე და ზარმაცი ადგება».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს ეშმაკის მდგომარეობასა და მის ბრძოლაზე იმ ადამიანთან, რომელსაც სურს ღამის(თაჰაჯუდის) ან დილის ლოცვის შესრულება. როდესაც მორწმუნე იძინებს, შაიტანი შეკრავს სამ კვანძს მის თავზე, კერძოდ, კეფაზე და როცა მორწმუნე იღვიძებს და ახსენებს ყოვლისშემძლე ალლაჰს, არ აჰყვება შაიტანის ბოროტ ვასვასებს(ცუდ ფიქრებს და აზრებს), ერთ კვანძი იხსნება. თუ განბანვას განახორციელებს, მეორე კვანძიც იხსნება. თუ ადგება და ლოცვას აღასრულებს, მესამე კვანძიც იხსნება. ამგვარად, ის დილას იწყებს ხალისიანი და სასიამოვნო განწყობით, რადგან ხარობს იმით, რომ ალლაჰმა მას მორჩილება შეაძლებინა და იმედიანია იმ დაჯილდოების და მიტევების, რაც ალლაჰმა აღუთქვა, და ისიც რომ ეშმაკის კვანძებიც უ ქრება. თუ არ მოიქცევა ასე, ის დილას იწყებს უხასიათო სულით, დამწუხრებული გულით და ზარმაცი ხდება სიკეთისა და კეთილი საქმეების მიმართ, რადგან ეშმაკის ბორკილებითაა შებოჭილი და დაშორებულია მოწყალის სიახლოვეს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3731